პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

1-ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით

წლიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფ.სი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

156 (1151) | ხუთშაბათი, 23 სექტემბერი 1926 წ. | (1151) 156

## ახალწვეულის გაცილება და შეხვედრა

ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან დაიწყება მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა წითელ ჯარში. ჩვენი ნაწილები ამ თავითვე უნდა შეუდგენ ახალწვეულების შეხვედრისათვის მზადებას. ლენკუთხე, ბიბლიოთეკა, კლუბი, ყოველი მეთაური, პოლიტმომუშავე და 1903 წ. დაბადებული წითელ არმიელი მზად უნდა იყოს ახალი ცვლის შესახვედრათ. წითელ ყაზარმაში შესვლის პირველ დღიდანვე ახალგაზრდა წითელ არმიელმა უნდა იგრძნოს წითელი არმიის მთელი სიდიადე და მნიშვნელობა, სწორი წარმოდგენა უნდა მიეცეს თავის მომავალ მუშაობაზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც მან უნდა შეასრულოს წითელი ჯარის რიგებში.

ამიტომ, ახალწვეულის პირველ შეხვედრას წითელ ყაზარმასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მისი შემდეგი მუშაობისათვის. ყოველივე ეს ავალებს ჩვენ ნაწილების ხელმძღვანელებს და ძველ წითელ არმიელებს შესაფერისად შეხვდენ წითელი არმიის ახალ ძალებს და ამ თავითვე უზრუნველყონ მათი მომავალი სამხედრო და პოლიტიკური აღზრდის საქმის წარმატებით წაყვანა.

ჩვენი სამხკორები კი მოვალენი არიან სისტემატიურად გააშუქონ ჩვენს გაზეთში, როგორც ემზადებიან ნაწილები გაწვევისათვის. ასეთია ის ძირითადი ამოცანა, რომელიც წინ უდგას ჩვენს ნაწილებს ჯარში გაწვევის მოახლოების გამო. ჯარში გაწვევის ნაყოფიერად ჩატარების მიზნით, გაწვევის მომენტისათვის უნდა ემზადონ აგრეთვე სამოქალაქო და სოფლის ორგანიზაციებიც. თაოსნობა ამ მხრივ პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციებმა უნდა აიღონ.

ახალგაზრდა მებრძოლის სამხედრო-პოლიტიკურ აღზრდის ნაყოფიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, თუ როგორ შეხვდება მას წითელი ყაზარმა, არამედ იმასაც თუ როგორ გააცილებს მას სოფელი, ქარხანა,—მშრომელთა მასა.

გაწვევის დაწყების პირველ დღიდანვე ყოველი წვევამდელისათვის ნათელი უნდა იყოს ის მოვალეობა, რომლის მოსახდელად ის მიდის წითელ ჯარში. ამ მოვალეობის შეგნება უნდა ახასიათებდეს თითეულ მის ნაბიჯს და მოქმედებას. ყოვლად დაუშვებელია, როცა ახალწვეული ძველებურად, როგორც ეს იყო თვითმპყრობელობის დროს დაიწყებს ლოთობას და ქეიფს გაწვევის წინ. ეს ძლიერ ცუდი, უარყოფითი ჩვეულებაა, რომელსაც სასტიკად უნდა შევებრძოლოთ. ეს ჩვეულება შავი წარსულის ნაშთია. ძველად ახალგაზრდა გლეხი ქეიფობდა და თავაშვებულად იქცეოდა ჯარში გასვლის წინ იმიტომ, რომ მას ეშინოდა მეფის ყაზარმების და ამ შიშის ჩაკვლას ის ღვინოსა და თავაშვებულობაში სცდილობდა. დღეს კი სულ სხვა მდგომარეობაა. ყოვლად დაუშვებელია, რომ საბჭოთა ქვეყნის შვებულ-მოქალაქემ, რომელიც მიდის უდიდესი მოვალეობის მოსახდელად ქეიფსა და ლოთობას მიეცეს.

ამიტომ სოფლის პარტიულ კომკავშირის და საბჭოთა ორგანიზაციებმა იმ თავითვე უნდა შეეცადონ, რათა ფართე აგიტაციის და პროპაგანდის გზით არ დაუშვან მსგავსი მოვლენები და ძირფესვიანად აღმოფხვრან ჩვენ სინამდვილედან.

ქეიფისა და ლოთობის ნაცვლად, უნდა მოეწყოს მთელი სოფლის მიერ წვეულების ჯარში გაცილების და სათანადო დავალებების მიცემა მომავალ წითელ არმიელებისთვის.

ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენმა შვებულებმა და ცვალებადელებმაც. მათ დაწვრილებით უნდა გააცნონ ახალწვეულებს წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა.

მხოლოდ ასეთი ენერგიული და შინაარსიანი მომზადებით გაწვევისათვის, ჩვენ უზრუნველვყოფთ მის ნაყოფიერად ჩატარებას.

## ხელები შორს ჩინეთისაგან
### ინგლისელების სიმხეცის შემდეგ ვანსიანში

**ჩინეთის ხალხი მოითხოვს ინგლისელების განდევნას ჩინეთიდან. საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა მოუწოდეს ინგლისის პროფკავშირებს ებრძოლონ მათი მთავრობის სიმხეცეს ჩინეთში**

### ვანსიენში 1.000 სახლი დასწვეს

ქალაქ ვანსიანში ჩინეთის ხელისუფლებამ დააკავა ინგლისელების გემი, ნაოსნობის წესრიგის დარღვევისათვის. ამის გამო მახლობლად მდგარ ინგლისის წყალქვეშა ნავებმა ქალაქს აუტეხეს სროლა. ზარბაზნების ცეცხლი 3 საათს გაგრძელდა. დანგრეული იქნა 1.000 სახლი. მოკლულია რამოდენიმე ასეული კაცი და დაჭრილი 700-მდე.

ჩინეთის გაზეთები მოუწოდებენ ხალხს გაერთიანდენ ინგლისის იმპერიალისტების წინააღმდეგ.

### კანტონის ჯარები იმარჯვებენ

კანტონის ჯარები თანდათან ავიწროებენ უ-პეი-ფუს ჯარებს; მეორე მხრივ კანტონის არმია გენერალურ სამზადისს აწარმოებს სუ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რომ ამ გზით გააერთიანოს ფრონტი სახალხო არმიასთან.

### ჩან-ძო-ლინის მეთაურობით

უ-პეი-ფუს დასახმარებლად ჩან-ძო-ლინმა გაგზავნა 100 ათასიანი არმია. ინგლისი მოითხოვს კანტონისა და სახალხო არმიების წინააღმდეგ ჩრდილოეთ ჩინეთის ყველა რეაქციონურ ძალების გაერთიანებას ჩან-ძო-ლინის მეთაურობით.

### სუნ-ჩუან-ფანის გამარჯვება

სუნ-ჩუან-ფანის არმიის ნაწილებმა ცზიან-სიზე გამართულ ბრძოლაში (ჩრდილოეთით) გაიმარჯვეს ნაწილობრივად.

## ჩემბერლენისა და მუსოლინის შეხვედრა.

ამ დღეებში ხმელთაშუა ზღვაზე მოხდება ჩემბერლენისა და მუსოლინის გემების შეხვედრა. ჩემბერლენი გავიდა განუადან 18 სექტემბერს ინგლისის გემით ხმელთა-შუა ზღვაზე გასასეირნებლად. იტალიის პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ შეხვედრას.

## „შიმშილით გვაიძულებენ სამუშაოზე დაბრუნებას“.
### მაღაროების მუშების განცხადება

18 სექტემბერს კოლვილში წარმოთქმულ სიტყვაში მთამადნელ მუშათა კავშირის მდივან—კუკმა განაცხადა:

მთამადნელ მუშათა კავშირი მზად არის განიხილოს საკითხი სამუშაო ხელფასის დროებითი შემცირების შესახებ და დასდვას ხელშეკრულება, რომელიც საშვალებას მისცემდა მუშებს ისეთივე მთლიანი რიგებით დაუბრუნდენ სამუშაოს, როგორც შესწყვიტეს ის მათ.

თუ კაპიტალისტებმა გვაიძულეს სამუშაოზე დაბრუნება ამას ისინი შესძლებენ მხოლოდ ჩვენი დამშევით.

## საფრანგეთის მაღაროს მუშები არ უშვებენ ინგლისში ნახშირს

საფრანგეთის რკინის გზელების, ნავთსადგურების მუშების, ტრანსპორტისა და მთამადნელი მუშების რევოლიუციონურ კავშირებმა მიმართეს ტრანსპორტელების საერთაშორისო გაერთიანების ყრილობას, რათა უკანასკნელმა აკრძალოს ინგლისში უცხოეთიდან ნახშირის შეტანა.

## ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფედერაციის სესია.

20 სექტემბერს პარიზში გაიხსნა ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო ფედერაციის სესია.

ფედერაციის მდივანი ედო-ფიმენი გამოვიდა მოხსენებით ინგლისის გაფიცულ მაღაროს მუშების დახმარების შესახებ მან აღნიშნა, რომ ფედერაციას არსებითი დახმარების აღმოჩენა სურდა ინგლისის მუშებისათვის, მაგრამ ამაში არ გამოეხმაურა ამსტერდამის ინტერნაციონალი.

ბელგიისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა უსაყვედურეს ფიმენს მთლიანი ფრონტის პოლიტიკისათვის და შესწამეს კომუნისტებისაკენ გადახრა.

## მორიგი პროვოკაცია არ გაუმართლდებათ.

კანტონის რევოლიუციონური ჯარების გმირულმა გამარჯვებებმა თავზარი დასცეს უცხოელ იმპერიალისტებს. განსაკუთრებით აღელდენ ინგლისის მტაცებლები. როგორც კი მოვიდა ცნობა კანტონის ჯარების პირველი გამარჯვების შესახებ, ინგლისის ბურჟუაზიულ გაზეთებმა ყველა მორთეს ყვირილი უცხოელ იმპერიალიზმის ძალების გაერთიანების საჭიროების შესახებ ჩინეთში ეროვნულ-რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მასთანავე ერთად ინგლისის სამხედრო კრეისერები გაემართენ მდინარე იან-ცზით კანტონისაკენ. გზაში ისინი გაერიდენ ქ. ვანსიანთან, რომელსაც დაუშინეს ყუმბარები და რამოდენიმე ასი ჩინელი ამოწყვიტეს, მასთან დიდძალი ზარალი მიაყენეს თვით ქალაქს.

ინგლისის იმპერიალისტების ამ უმაგალითო მხეცობას აღშფოთებით შეხვდა მთელი ჩინეთის ხალხი და საერთაშორისო პროლეტარიატი. ამ საზიზღარმა საქციელმა ისე, როგორც ერთ დროს შანხაიში უცხოელ მოძალადეების მიერ გაფიცულ მუშების დახვრეტამ, კიდევ უფრო გაამძაფრა სიძულვილი ჩინეთის მშრომელთა მასებში უცხოელ იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ჩინეთის ბევრ ქალაქებში ეწყობა მრავალრიცხოვანი კრებები, სადაც გამოაქვთ რეზოლიუციები უცხოელ მტაცებლების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის დაწყების შესახებ.

ყოველივე ამან ინგლისის ბურჟუაზიას საბაბი მისცა ახალი პროვოკაციული ხმების გავრცელებისა. ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთები ჩინეთის ეროვნულ რევოლიუციონურ მოძრაობის გამოღვიძებას აბრალებენ საბჭოთა კავშირს. მათი სიტყვით თითქოს, საბჭოთა მთავრობა აწვდის კანტონის მთავრობას იარაღს და ფულს. ეს საზიზღარი ჭორი ინგლისის კაპიტალისტებს სჭირიათ თავისი მხეცური საქციელის გასამართლებლად ჩინეთში.

რამდენათ მათი ცილისწამებები შეეფერება სინამდვილეს, ამას მოწმობს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ჩინეთში ამხ. კარახანის კატეგორიული განცხადება:

„ოქტომბრის რევოლიუციამ გაანთავისუფლა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე მრავალი ერი. ვსპობთ რა ნაციონალურ ჩაგვრას ჩვენს საზღვრებს შიგნით, ჩვენ არ შეგვიძლია ნაციონალური ჩაგვრის წარმოება ჩვენს საზღვრებს გარეთ.

ჩვენი საქმე არაა აქ ბრძოლა. ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ კიდეც, თუ ეს საჭირო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია ჩვენი ინტერესების დაცვა უცხოელთა მჩაგვრელობის წინააღმდეგ. შეიძლება ჩვენმა მაგალითმა გაამხნევოს ჩინელები მათ ბრძოლაში. მათ ჩვენ სხვა ვერაფრით ვერ დავეხმარებით“.

გავრცელებულ ხმების შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირი ამუნიციით და ფულით ეხმარებოდეს ფინ-იუ-სიანსა და კანტონს, კარახანმა განაცხადა: „ამ ხმებს ავრცელებენ საბჭოთა კავშირის მტრები. კანტონს დახმარება გაუწიეს მხოლოდ რუსეთის ფინანსიური მრჩეველებმა ფინანსების რეორგანიზაციის საქმეში. ეს იყო ერთადერთი დახმარება. ხმები კანტონის გასაბჭოების შესახებ სრული სიცრუეა“.

ეს განცხადება საუცხოვოდ ამჟღავნებს ინგლისის ბურჟუაზიის ხრიკებს. რამდენიც პროვოკაციული ხმები და ჭორები არ უნდა გაავრცელონ იმპერიალისტებმა საბჭოთა კავშირის შესახებ, ისინი ამით მაინც ვერ მიაღწევენ მიზანს. ჩინეთის ხალხს კარგა ხანია აეხილა თვალები და ადრე თუ გვიან ის ძალით გააძევებს თავის საზღვრებიდან მოძალადე დაუპატიჟებელ სტუმრებს.

—ე.

## საქართველოში.

### ჭიდის (ცემენტის) ქარხანა.

მოსკოვიდან ჩამოვიდა პროფესორი სმირნოვი იმ ნედლი მასალის ღირებულების გამოსარკვევათ, რომელიც დასჭირდება ჭიდის (ცემენტის) ქარხანის აგებას. სმირნოვთან ერთად ჩამოვიდა ინჟენერი კორჩაკინი, რომელიც აწარმოებს მუშაობას ნედლი მასალის ღირებულების შესახებ ქიმიურ და ტექნიკური თვალსაზრისით.

### სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთება.

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის 5-წლიანი საპერსპექტივო გეგმა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებისა. გეგმა წარდგენილია დასამტკიცებლათ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში.

### ტრამვაის ახალი ხაზები.

პირველ ოქტომბრიდან თფილისის ტრამვაის სამმართველო შეუდგება ტრამვაის ახალი ხაზების გაყვანას. ამ სამუშაოსათვის გადადებულია 86,000 მანეთი. ახალი ხაზები იქნება გაყვანილი ნაძალადევში, ჭ.კეში და ქალაქის განაპირა სხვა მიდამოებში.

### თანხების გადაცემა კოოპერაციისათვის.

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ გადასცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრს „სოფლის კავშირს“-ს 100,000 მანეთი. 26.000 მან. გადაცემულია ძირითად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანხების გასაძლიერებლათ.

### უბაჟოთ საქონლის შემოტანა.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა საკავშირო უმაღლეს ორგანოების წინაშე, რათა საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოებას მიეცეს ნება უბაჟოთ საქონლის შემოტანის შესახებ საზღვარგარეთიდან.

### ტყვარჩელის ქვა ნახშირი

საკავშირო გეოლოგიურ კომიტეტის წევრები ახდენენ გამოკვლევას ტყვარჩელის ქვანახშირის მარაგისა.

ქვანახშირის მარაგი ტყვარჩელის რაიონში უდრის—12 მილიარდ ფუთ. ქვანახშირი უმაღლეს ხარისხისაა. ქვანახშირი აღმოჩენილია მდინარე ბზიბის მიდამოებში.

### ზამთრის სეზონი

საკურორტო სანატორიუმი დახმარებას ზამთრის სეზონში მიიღებს 800—1.000 მუშა-მოსამსახურემდე.

### სამხედრო სახლების შეკეთება

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ საბჭოებს გაიღონ თანხები სამხედრო სახლების შესაკეთებლად.

# 1904 წელში დაბადებულთა წითელ ჯარში გაწვევისათვის.

## სოფლის ახკომკავშირის მუშაობა გაწვევის დროს

**უნდა მოვამზადოთ ახალწვეული არმიაში შესასვლელად. ქეიფი-ლოთობის მაგიერ—სადღესასწაულო გაცილება.**

როგორც 1904 წელში დაბადებულ ახკომკავშირელთა არმიაში შესვლის სამზადისის მიმართ, ისე მთელი უპარტიო ახალგაზრდობის მიმართ, ახკომკავშირის როლი განუზომელია. ამ ამოცანის სწრაფად შესრულება—ნიშნავს არმიისათვის დახმარებას მისი სამხედრო ძლიერების განმტკიცების საქმეში.

1903 წლის გაწვევამ დაგვანახა, რომ მაშინ არმიაში შესასვლელად ვერ იყვენ ახკომკავშრელები მომზადებული ისე, როგორც საჭირო იყო. მათ არ იცოდენ ის ამოცანები, რომლებიც დგანან არმიის ახკომკავშირელის წინაშე და ცუდათ ერკვეოდენ ჩვენი სამხედრო მშენებლობის საკითხებში.

ეს გარემოება გვაიძულებს მიმდინარე წელში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ 1904 წ. ახკომკავშირელების წითელ არმიაში შესვლის საქმეს.

პრაქტიკულად, როგორ უნდა ჩაატარონ ახკომკავშირის ორგანიზაციებმა ეს მუშაობა?

უჯრედები იძულებული იქნებიან ორი მომენტის მიხედვით აწარმოონ თავისი მუშაობა: გაწვევისათვის მომზადება და არმიაში გაცილების მომენტი.

პირველი მომენტისათვის აუცილებლად მიღწეული უნდა იქნეს, რათა გასაწვევი ახკომკავშირელები შამოკრებილი იქნენ სემინარებში. მათ შორის უფრო კარგად მომზადებულს—აქტივს, კარგი იქნება მიეცეს ამოცანები ამა თუ იმ სამხედრო მშენებლობის საკითხების დასამუშავებლად, პირველ რიგში კი ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშარებული არიან არმიის პარტორგანიზაციისა და ახკომკავშირის მუშაობის თავისებურებასთან. ამასთან ერთად, საჭიროა შესწავლილი იქნეს გაწვეულთა განწყობილებანი, არ გამოგვეპაროს ავადმყოფური მოვლენები და მივიღოთ ზომები მათი აღმოფხვრისათვის.

სამხედრო ორგანიზატორების თათბირები, ხელმძღვანელთა შერჩევა სემინარებისათვის, სამხედრო ბიბლიოთეკების ორგანიზაცია, პრესა—განსაკუთრებით კედლის გაზეთები—ყველა ამან უნდა უზრუნველყოს ზევით აღნიშნულ მუშაობის სასწრაფოდ გატარება.

ახკომკავშირელების არმიაში შესასვლელად წარმოებული მზადების დროს უჯრედებმა მხედველობიდან არ უნდა გაუშვან გასაწვევ უპარტიო ახალგაზრდობის მასის შამოკრების ამოცანა.

ნაწილებში გაცილების დროს—უნდა მიექცეს ყურადღება, რათა ძველებური ჩვეულებების მაგიერ—ახალგაზრდობის ქეიფით გაცილება, დებოში, ოჯახებთან გამოთხოვების ფორმები, ხდებოდეს უჯრედების მიერ მოწყობილ სადღესასწაულო ხასიათის გაცილებით, რომელიც გაამხნევებს წვეულს და გამოიწვევს მასში წითელი არმიისადმი სიყვარულს და ბრძოლისთვის მუდამჟამს მზად ყოფნის სურვილს.

ყველა ეს მუშაობა მხოლოდ მაშინ მოგვცემს დადებითი შედეგებს, როდესაც ახკომკავშირელების ყველა ორგანიზაციები სწორად გაიგებენ თავის ამოცანებს და მთელი თავისი ყურადღებით მოეკიდებიან მათ გადაჭრას.

წითელი არმია ამას ელის. ახკომკავშირი შეასრულებს ამას.

ი. ლ.

## შვებულებაში გაშვება, გაწვევა და ვენერიული ავადმყოფობანი

ვენერიული ავადმყოფობანი დიდი უბედურებაა მშრომელთა მასებისათვის. ვენერიული ავადმყოფობანი—წითელი არმიის საბრძოლო მომზადებასა და საბრძოლო უნარიანობის დიდი საშიშროებაა.

ამ ჟამად, წითელი არმიის რიგებიდან უვადო შვებულებაში გაშვებისა და მასში ახალგაზრდობის გამოწვევის გამო, ვენერიული ავადმყოფობის გავრცელების საშიშროება აუცილებლად არსებობს. არის საშიშროება არმიისათვის, არის საშიშროება სამოქალაქო მცხოვრებთათვისაც.

ჩვენ არ უნდა დავფაროთ: ჩვენი ახალწვეულთა ახალგაზრდობის ერთი ნაწილი კიდევ არ არის საკმაოდ შეგნებული. მიუხედავად წითელი არმიისა და მეფის დროის არმიის შორის დიდი განსხვავებისა, გამოწვევის დროს ახალგაზრდობის შეუგნებელი ნაწილი ისე იქცევა, როგორც მას გაუგონია, მეფის დროის გაწვევის შესახებ. გაწვეულმა უნდა „ისეირნოს", ხუმრობა ხომ არ არის, ის „სამსახურში" მიდის, რომ „იწვალოს", „იტანჯოს" და ამიტომ ყველაფერი ეპატიება.

და მართლაც, თავხედურად იქცევიან, ქეიფობენ, ითვრებიან, ცუდათ იხმარენ თავის ახალგაზრდობას, ეძებენ შემთხვევებს სქესობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ქალებთან, არაფერს არ ერიდებიან. ჰკარგავენ გონიერებას. დიახ გონიერებას ჰკარგავს მთვრალი, როდესაც ის კავშირს იჭერს ქუჩის ქალებთან.

ასეთ შემთხვევებში ხშირად სნეულდებიან გასაწვევი ახალგაზრდები.

გასული წლის ოქტომბერში, ახალწვეულთა მოსვლის წინ გაცილებით უფრო ნაკლები შემთხვევები იყო ვენერიული ავადმყოფობის ჯარში, ვინემ ახალწვეულების მოსვლის შემდეგ. ახალწვეულებმა თან მოიტანეს ვენერიული ავადმყოფობანი.

პირიქით ავადმყოფი შვებულები კიდევ უფრო გაავრცელებენ ვენერიულ ავადმყოფობას მოსახლეობის შორის. თითეული შვებული თუ ის ავად იმყოფება ვალდებულია დაასრულოს ნაწილში საჭირო აქიმობის კურსი. ექიმებმა უნდა გააძლიერონ რაც შეიძლება ეს აქიმობა. არმიიდან არც ერთი გადამდები სენით დაავადებული წითელ არმიელი არ უნდა იქნეს გაშვებული.

ავადმყოფებმა ისევ უნდა გააგრძელონ აქიმობა სახლში მისვლის შემდეგ, თავისი ჯანმრთელობის აღსადგენათ. არ უნდა დამშვიდდე, თავი არ უნდა მიანებო, სულიერად კი არ უნდა დაეცე, არამედ დაჟინებით უნდა განაგრძო აქიმობა ექიმის რჩევის თანახმად, სანამ არ მიიღებ სასურველ შედეგებს.

ლ. გ.

## დაკვრითი წესით

**მოვაწყოთ სამხედრო კუთხეების მუშაობა 1904 წ. გაწვევის ნიშნის ქვეშ.**

სამხედრო კუთხეების სისტემატიურ მუშაობასთან ერთად, მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ფართო მასებში სამხედრო ცოდნის განმტკიცების მიზნით, ხშირად დგება მომენტები, როდესაც საჭიროა ჩატარებული იქნეს დაკვრითი ხასიათის მუშაობა.

ამას ეკუთვნის პირველ რიგში, ახალგაზრდობის მორიგი, ყოველწლიური წითელ არმიის რიგებში გაწვევა.

სოფლის სამხედრო კუთხემ გაწვევის წინ თავის გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახოს გასაწვევ ახალგაზრდობის მომზადება იმისთვის, რათა უკანასკნელნი უკლებლივ გამოცხადდენ გასაწვევ წერტებზე. განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს კუთხემ საცნობო მუშაობის დაყენების საქმეს.

თითეულ წვეულმა, სამხედრო კუთხეში შესვლის დროს, ამომწურავი პასუხი უნდა იპოვოს იქ თავის შეკითხვებზე.

პლაკატები, ცხრილები, გაზეთებიდან გაწვევის შესახებ ამოჭრილ ცნობების დაფა, დაწვრილებითი ცნობები გაწვევის გატარების წესის შესახებ, გაწვეულთა და მათი ოჯახების შეღავათების შესახებ ცნობები—ყველა ეს სამხედრო კუთხის ზეპირი და წერილობითი აგიტაციაა გაწვევის წინ.

კარგი იქნება თუ ცვალებადელები და შვებული წითელ-არმიელები შესძლებენ გასაწვევ ახალგაზრდობის კრებების მოწვევას სამხედრო კუთხეებში, რომლებზედაც გაირჩევა მიმდინარე გაწვევასთან დაკავშირებული საკითხები.

წითელ არმიის რიგებში ახალგაზრდობის გაწვევა ყოველწლიურად უფრო და უფრო ორგანიზაციულად ტარდება. ამჟამად, არმიაში შემავალი ახალწვეული, არ არის, რაც ორი-სამი წლის წინათ: ის საკმაოდ მომწიფდა და სრული შეგნებით ეკიდება თავის მოვალეობებს. ეს უფრო კარგად სჩანს, გასული წლის 1903 წლის გამოწვევის მაგალითზე.

ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ წრევანდელი 1904 წ. გაწვევაც ჩატარდება იმავე საყოველთაო აქტიობისა და თავის მოვალეობისადმი შეგნებულად მოპყრობის ნიშნის ქვეშ.

ამ მხრივ დიდი როლი უნდა ითამაშონ ჩვენმა ძირედ სამხედრო საზოგადოებრივ უჯრედებმა—სამხედრო კუთხეებმა.

თითეული ცვალებადშემადგენლობის წითელ-არმიელი, თითეული სოფელში მყოფი შვებული წითელ-არმიელი ვალდებულია სოფლის სამხედრო კუთხის საშუალებით ხელი შეუწყოს 1904 წ. გაწვევის მწყობრად და ორგანიზაციულად ჩატარებას.

ვკი.

## რა უნდა იცოდეს ახალწვეულმა სამხედრო სამსახურის შესახებ.

### სამსახურის სამი პერიოდი.

**რევოლიუციის დაცვის საპატივსაცემლო უფლება, საბჭოთა კავშირის იარაღით ხელში დაცვა, მხოლოდ მშრომელებს აქვთ დავალებული**

საბჭოთა კავშირის მუდმივი დამცველი არის წითელი არმია, რომლის შესავსებად შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახური 19—40 წლამდე. ეს სამსახური შესდგება წვევამდე მზადების, ნამდვილი სამხედრო სამსახურის და თადარიგის მდგომარეობიდან.

**წვევამდე მზადება**

სამხედრო სამსახურის პირველი საფეხურია. ის იმისთვის არის შემოღებული, რომ მივსცეთ ახალგაზრდობას დაწყებითი ცოდნა სამხედრო სამსახურის შესახებ, სამხედრო პოლიტიკური ხასიათის აუცილებელი ცოდნა და ფიზიკური აღზრდა. ყველაფერი ეს იმისათვის არის საჭირო, რომ შეუმსუბუქდეს ახალწვეულებს არმიაში სამსახური, რადგანაც სამსახურის მცირე დროის განმავლობაში მთელი სამხედრო წვრთნების გაძლიერება ძნელია.

წვევამდე მზადებაში გაყვანილი მშრომელები, რომლებსაც 19 წელი შეუსრულდებათ 1-ლ იანვრისათვის. სწავლება წარმოებს 2 წელიწადი. ერთი თვე წელიწადში. ასწავლიან სასწავლო წერტილებზე, რომლებიც ეწყობიან ადგილებზე, სოფლებში და სამაზრო ქალაქებში.

**ნამდვილი სამხედრო სამსახური**

გრძელდება ხუთ წელიწადს და გადიან წითელი არმიის კადრის ან ტერიტორიალურ ნაწილებში ან ჯარის გარეშე სამხედრო სამსახურში.

თითეული მოქალაქე, რომელიც ირიცხება ნამდვილ სამხედრო სამსახურში, ატარებს წითელი მხედრის საპატივსაცემლო წოდებას—წითელ არმიელის ან წითელ ფლოტელისა.

**კადრის ნაწილებში შეუწყვეტელი სამსახური**

გრძელდება ჯარების უმრავლესობაში 2 წელიწადი და მხოლოდ საჰაერო ფლოტში—3 წ., საზღვაოში კი—4 წელიწადი.

მისი დასრულების შემდეგ წითელ არმიელებს უშვებენ გრძელვადიან შვებულებაში სამსახურის ჩათვლით 5 წლამდე—3, 2 და 1 წელიწადი. გრძელვადიან შვებულებაში ყოფნის დროს წითელ არმიელებს იწვევენ განმეორებით შეკრებებზე, მაგრამ არა უდიდეს ერთი თვისა (გრძელვადიან შვებულებაში ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში).

**ცვალებად შემადგენლობაში სამსახური**

ტერიტორიალურ ნაწილებში სხვანაირად სწარმოებს. ტერიტორიალურ ნაწილებში ჩარიცხულებს იწვევენ სამსახურის 1-ლ წელიწადს 3 თვით, ხოლო დანარჩენ 4 წელში ქვეითისა და ცხენოსანთა შემადგენლობას—8 თვეს, და სხვა სპეციალისტებს—6 თვეს. სამსახურის ამ ხუთი წლის სხვა დროს შვებული წითელ-არმიელები იმყოფებიან შვებულებაში და სცხოვრობენ თავიანთ ოჯახებში, მაგრამ ყოველწლიურად გამოჰყავთ მოკლევადიან შეკრებებზე (5—7 დღით სამსახურის დროის ჩათვლით).

**სწავლება ჯარის გარეშე სამსახურის წესით**

5 წლის სამსახურის მთელი ხნის განმავლობაში სწარმოებს ხოლოდ 6 თვეს. ასწავლიან სამოსწავლო შეკრებებზე. შეკრების შემდეგ ითვლებიან შვებულებაში და სცხოვრობენ თავიანთ ოჯახებში.

ო—ი.

## წითელ არმიელის სამუშაო დღე

ახალწვეულების უმრავლესობას კარგად არა აქვთ ხშირად წარმოდგენილი წითელ არმიელის ცხოვრების წესრიგი. მისი უცოდინარეობა ხელს უშლის მას სწრაფად შეეგუოს ყაზარმულ ცხოვრებას და ხშირად ხდება იმის მიზეზათ, რომ ახალწვეული არღვევს არსებულ წესრიგს და ღებულობს სასჯელს.

ამ წერილში ჩვენ მოკლედ განვმარტავთ წითელ არმიელის სამუშაო დღის წესრიგს, რომელიც დაწესებულია შინა სამსახურის წესდების მიხედვით.

**სწრაფად და წესიერ დ.**

წითელ არმიელისათვის, დილით ლოგინიდან ადგომის დრო, წესდების ძალით, წესდება ნაწილის უფროსის მიერ. ჩვეულებრივად ასეთ დროთ შამოღებულია ზამთარში დილის 7 საათი, ხოლო ზაფხულში კი—6 საათი. მაგრამ ზაფხულში სროლებისა და სხვა სპეციალური მეცადინეობის დროს ხშირად უფრო ადრე ხდება ადგომა.

წითელ არმიელი უნდა მიეჩვიოს სწრაფად ადგომას ლოგინიდან და ასეთივე სისწრაფით ტანისამოსის ჩაცმას. სისწრაფე განსაკუთრებით დიდ საჭიროებას მოითხოვს, რადგან მცირე დროს იძლევიან (ნახევარი საათი) იმისათვის, რომ წითელ არმიელმა ტანს ჩაიცვას, პირი დაიბანოს, გაასწოროს ლოგინი და გასწმინდოს თავისი შაშხანა. სისწრაფეს მშვიდობიანურ დროში უნდა მივეჩვიოთ, რადგან ის დიდ როლს თამაშობს ომის დროს საერთოდ და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოულოდნელად გვესხმის თავს მოწინააღმდეგე. საქმის სწრაფად შესრულების დროს უნდა ვეცადოთ, რომ მიფუჩეჩებულად არ დაგვირჩეს ის შესრულებული. ყველაზე უფრო ძვირფასია ის წითელ არმიელი, რომელიც სწრაფად და ამასთანავე ერთად ზედმიწევნით კარგად და საიმედოთ აკეთებს დავალებულ სამუშაოს.

**რამდენ საათს სწარმოებს მეცადინეობა**

მეცადინეობის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე იწყება ამოძახილი, რომელსაც ყველა წითელ არმიელები უნდა დაესწრონ. ამოძახილის დროსვე სწარმოებს წითელ არმიელის ტანსაცმელის, იარაღის და საერთოდ მისი ტანის სისუფთავის დათვალიერება. სწარმოებს ავადმყოფ წითელ არმიელთა ჩაწერა ნაწილის ექიმთან გასაგზავნათ და იცემა ამ დღისთვის სხვა და სხვა განკარგულებანი.

დილის ამოკითხვისა და დათვალიერების შემდეგ იწყება მეცადინეობა. ზამთარში და აგრეთვე ზაფხულშიც ნორმალურ პირობებში მეცადინეობა გრძელდება დღეში 6 ან 8 საათი. მაგრამ ზაფხულში ბანაკში ყოფნის და მანევრებზე გასვლის დროს ეს წესრიგი იცვლება.

ხშირად უხდებათ წითელ არმიელებს მთელი დღეებით ლაშქრობაში, ბრძოლებში და ღამის მეცადინეობაზე ყოფნა.

**მეომრის დასვენება**

ჩვეულებრივად მეცადინეობა თანმიყოლებით არ სწარმოებს 6 და 8 საათი დღეში, არამედ ხან გამოშვებით. მეცადინეობა სწყდება სადილისათვის 12 საათზე სადილის შემდეგ კი ასვენებენ წითელ არმიელებს საათ ნახევრით. უკანასკნელ ხანებში ჩვენს ნაწილებში სხვანაირი წესრიგი იქნა შამოღებული: სადილის შემდეგ წითელ არმიელები ისევ განაგრძობენ მეცადინეობას და შემდეგ მეცადინეობის დასრულებისა ერთბაშად ისვენებენ.

დასვენების საათების რიცხვი არ მცირდება ამით. თუ წინათ სადილის წინ და შემდეგ ასვენებდენ წითელ არმიელებს ორი საათით, ეხლა მეცადინეობის შემდეგ ეძლევათ ისევ ეს ორი საათი.

წესდების მიხედვით წითელ არმიელისათვის ვახშამი უნდა მზადდებოდეს საღ 6-8 საათებს შორის. ვახშმის წინ და მის შემდეგ ტარდება პოლიტსაგანმანათლებლო მუაობა: მეცადინეობენ წრეები, ხდება პარტიული და ახკომკავშირის უჯრედების, ავიაქიმის, რემედასის კრებები და სხვა და სხვა ხასიათის საღამოები, წარმოდგენები და სხვა. ამას გარდა წითელ არმიელთა ნაწილებს ხშირად ურიგდებათ უფასო ბილეთები კინოებს და თეატრებში წასასვლელად. მაშინ საღამოს თავისუფლალი საათები მათ ნახვას ხმარდება. 21 საათს (საღ. 9 საათი) ტარდება საღამოს ამოკითხვა, რომელზედაც ცხადდება განწესება მეორე დღისათვის, ე. ი. იმის შესახებ, თუ ვინ არის დანიშნული მორიგეთ, დღიურად და სხვა.

23 ს. (ღამის 11 საათი) წითელ არმიელებმა უნდა დაიძინონ, მაგრამ თუ ამ დღეს ნაწილში მიდის წარმოდგენა ან კინო-სურათი და სხვა, მაშინ ნაწილის უფროსის განკარგულებით შეიძლება შეცვლილი იქნეს დაძინების დრო.

**მტკიცე წესრიგი**

როგორც მეცადინეობაზე, ისე სადილსა და ვახშამზე, ქალაქში ან კინო თეატრებში, წითელ არმიელები უნდა მიდიოდენ წყობილებით, ცალ-ცალკე წასვლა ყოვლად დაუშვებელია.

ქალაქში შვებულებით წასვლა სწარმოებს მხოლოდ ასეულის უფროსის ნებართვით, საშვებულებო ბარათის მიხედვით. ახალწვეულები წესდების ძალით, შეიძლება გაშვებული იქნენ უქმე დღეებში და არა 21 საათის შემდეგ. ნახევარი წლის სამსახურის შემდეგ ისინი გაიშვებიან საერთო დებულების მიხედვით: როდესაც ნებას დართავს ასეულის უფროსი, საქმე დღეებშიც კი, მაგრამ მხოლოდ მეცადინეობის დამთავრების შემდეგ.

# ჩვენი ტერნაწილების დღესასწაულები

## დაუღალავი მუშაობის ორი წელი

მე-4 ქართ. მსროლელ ლეგიონის ისტორიიდან.

ლეგიონს სულ ორი წლის ისტორია აქვს. პირველად მას 1924 წ. 24 მაისს ჩაეყარა საფუძველი. ის შემდგარი იქნა ტფილისში 1902 წ. ახალწვეულებ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ნაწილი გადავიდა თავის მუდმივ საცხოვრებელ ბინაზე და დღემდე ეწევა თავის რიგებში ახალგაზრდობის სამხედრო გაწვრთნის და მომზადების საქმეს.

ლეგიონს შემთხვევა მიეცა ბრწყინვალეთ ჩაებარებია საბრძოლო გამოცდა დ დაემტკიცებია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთგულება. ეს იყო 1924 წ. ისტოში წითელი ქალაქის, თისხევისა და ქვემოჭალის რაიონებში, სადაც ჩვენმა ლეგიონმა დაამარცხა კონტრრევოლუციონერი მენშევიკური ბანდები.

1925 წლის მარტის რიცხვებში სხვა და სხვა ქართულ ნაწილებიდან გადმოყვანილი იქნენ სპეცი მეთაურები, რის შემდეგაც საგრძნობლათ გაუმჯობესდა მისი სამოსწავლო და სამეურნეო მდგომარეობა. ეს გარემოება კიდევაც აღ ნიშნა დივიზიის მეთაურისა და დივსამხედრო მის დივიზიისადმი გაცემული ბრძანებით და მადლობის გამოცხადებით. ამავე წლის 12 ივნისიდან ნაწილმა ჩაატარა 1902 წ. დაბ. ცვალებადშემადგენლობის პირველი ტერშეკრება და ღირსეულად დააგვირგვინა ახალგაზრდობის მომზადების საქმე. ამის შემდეგ კი ის აწარმოებდა მუშაობას წერტებზე წვევამდელთა მოსამზადებლათ.

პირველი ტერშეკრების დამთავრების დროს ლეგიონის მეთაურათ და შემდეგ სამხკომისრადაც დაინიშნა ამხ. ალ. ბელოვი, რომელიც დღემდე ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ლეგიონის პოლიტ და სამხედრო მომზადების საქმეში. მის თანაშემწედ პოლიტდარგში დანიშნულია ამხ. ნამგალაძე.

1926 წელში ნაწილმა რამოდენიმეჯერ ბრწყინვალედ ჩაატარა მოკლე ვადიანი ტერშეკრება. 1 სექტემბრიდან კი ატარებს მეორე შეკრებას. მეთაურთა შემადგენლობა მთელ თავის ენერგიას სწირავს, რომ აქაც ბრწყინვალედ დააგვირგვინოს მუშაობა, რასაც ის იმედია შეასრულებს.

მ. მ.

## მე-2 საკავშირო ასეულის 2 წლის თავის გამო.

22 სექტემბერს შესრულდა ორი წელი მას შემდეგ, რაც პირველად ჩაეყარა საფუძველი მე-2 საკავშირო ასეულს. ასეულის ძირედი შემადგენლობა გამოყოფილი იქნა 1-ლ საკავშირო ასეულის შემადგენლობიდან. მეცადინეობასთან ერთად, რომელიც გაძლიერებული ტემპით სწარმოებდა ნაწილში, ხდებოდა ასეულის საჭირო ინვენტარით თანდათან მოწყობა და შევსება.

ამავე წლის 10 დეკემბერს დაიწყო ასეულზე ცვალებადელებისა 1909, 1900 და 1901 წ. მოწვევა. ცვალებადელების, წინასწარი მომზადება ნაწილმა დამაკმაყოფილებლად ჩაატარა. ამ პერიოდში ასეულს მტკიცე კავშირი ჰქონდა ქუთაისის თამბაქოს ქარხნის მუშებთან—ამის აღსანიშნავად ნაწილმა მიიღო მათგან წითელი დროშა.

1-ლი საერთო შეკრების დროს მიუხედავად იმისა, რომ ნაწილს არ ჰქონდა შესაფერი გამოცდილება, მან მაინც დიდი დაკვირვება და მომზადება გამოიჩინა. აქ პირველად მოხდა ცვალებადელების დაახლოვება მეთაურებთან და აქვე გაეცნენ ისინი პირველად ტერსისტემის თავისებურებას. 1-ლი ტერშეკრების შემდეგ ასეული ამუშავებდა განვლილ მუშაობას და ხდებოდა ყველა დეფექტებისა და დადებითი მხარეების აღნუსხვა, რომ უფრო მეტი გამოცდილებით შეხვედროდა ის მომავალ შეკრებებს.

პირველ ხანებში ასეულის შეკრების რაიონი გაფანტული იყო, რაც ძლიერ აბრკოლებდა მის საქმიანობას. ეს მხედველობაში იქნა მიღებული და შევსების რაიონი შეიცვალა. ამ გარემოებამ შესცვალა მუშაობის პირობები. ჩამოყალიბებული იქნა რწმუნებულთა ქსელი, იმართებოდა კრებები ცვალებადელებთან, სწარმოებდა მიწერ-მოწერა ძირედ და ცვალებადელ წ. არმიელთა შორის და სხვა. 1926 წ. მუშაობა გაცხოველებული იქნა შეკრებათა შორისაც. თუ პირველი მიწერის დროს ისეთები მოხვდენ ნაწილში, რომ ვერ აკმაყოფილებდენ მის სპეციალურ მოთხოვნილებებს—მეორედ პირიქით მიწერა შერჩევით ჩატარდა. ამავე წელში ნაწილი აწარმოებდა ლეგიონებიდან მოვლენილ უმცროს მეთაურთა კადრის აღზრდას წ. არმიელებისაგან.

ასეულს აქვს აგრეთვე თავისი სახელოსნო, რომელიც დიდ დახმარებას უწევს მეორე დივიზიის ნაწილებს. ამ ჟამად მიმდინარეობს ნაწილში 2 თვიანი საერთო შეკრება, როგორც სპეციალურ ნაწილში. 2 წლის თავზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მისი საბრძოლო უნარიანობა ყოველმხრივ იზრდება ღირსეული მესვეურების მეოხებით.

პეტ—დონი.

# ცვალებადელო, ისწავლე! ემზადე შეკრებათა შორის მუშაობისათვის

## ცვალებადელები მეცადინეობაზე

(6-ე ტერლეგიონი)

მეცადინეობის საყვირია.

— ასეულო სწორდი! სმენა! სწორება მარჯვნივ, ნაბიჯით იარ!..

აბა სიმღერი... მხიარულად წავიდეთ.

გაისმა გუგუნი... ასეულის მეთაური მისდევს მათ უკან პირ მომღიმარე, უკვირს:

— სამი დღეა, რაც მოწვეულნი არიან და ხედავთ, როგორი ფეხ აწყობით მიდიან?..

მივედით სამეცადინო ველზე... მოიხსნეს თოფები და შეადგინეს ჯოჯგინები, დააწყეს ხვეულები და ოცეულის თავის მიერ ნაჩვენებ ალაგზე დასხდენ.

მეთაური მოუწოდებთ:—ამხანაგებო! წყნარად იყავით! ჩვენ გავეცნობით ეხლა საგარნიზონო სამსახურის წესდებას, უნდა შევისწავლოთ გუშაგის უფლებანი და მოვალეობანი.

გაათავა ახსნა... შეკითხვებიც მისცეს მეთაურს. შემდეგ მეთაური ეკითხება წითელ არმიელს გამოსაცდელათ.

—მაგალითად თქვენ დგეხართ საგუშაგოზე... დააჯდა ხიშტზე ჩიტი, რას იზამ?

— ეიდაა... ამხანაგო მეთაურო მაშინ მეძინება... საერთო სიცილია...

მეორე საათი შინა სამსახურის წესდებაა... აქ სწავლობენ დღიურ მორიგის მოვალეობას, ყველანი გულდასმით უსმენენ უფროს ამხანაგების ახსნას... შემდეგ ტოპოგრაფია და სხვა... მათაც ესმით, რომ ერთ თვეში უნდა შეისწავლონ ერთი წლის შესასწავლი,ამიტომ არ იზოგავენ თავს...

თავდება მეცადინეობა... ისევ ლაშქრული წესით და სიმღერით გამოემართენ კარვებისაკენ. ქალაქის მტვერი, ქარისაგან აფორიაქებული ეხვევა ამათ სახებს, თვალებს, მაგრამ მაინც ვერ აშინებს მათ. მოვიდენ კარვებთან.

— გააღეთ ჩახმახები!—გაისმა უფროსის ბრძანება და ცვალებადელებიც „ვაშას" ძახილითა და სიმღერით გაეშურენ კარვებისაკენ.

შ. ალგზნებული.

## უფროსები კარგად გვამეცადინებენ

მე 5 ლეგ. სკოლა.

ლეგიონი კარგა ხანია ბანაკში აწარმოებს მუშაობას. სამხედრო მეცადინეობასთან ერთად, რომლის შესახებ ყოველგვარ ცნობას გვაწვდიან უფროსები და ზედმიწევნით კარგად გვასწავლიან, დიდი ყურადღება ექცევა სკოლის გარეშე მუშაობას. არჩეული იქნა სკოლის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია. შედიან ცვალებადელებიც. ამას წინად გაკეთებული იქნა მოხსენება ტერიტორიალური სისტემის შესახებ, საერთო შეკრების მიზნისა და ჩვენი ამ ხნის განმავლობაში მუშაობის შესახებ. მეთაურები ყოველმხრივად გვიწყობენ ხელს, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდნით დავბრუნდეთ შეკრების დამთავრების შემდეგ სოფლებში.

ახალი.

## ჩვენი ყოფა-ცხოვრება.

მე-2 საკავშირო ასეული.

უკვე ერთი თვეა, რაც ჩვენთან ცვალებადელთა საერთო შეკრება მოხდა. ამ დროიდან ჩვენი ასეული ბანაკად იმყოფება. ცვალებადელთა მეცადინეობა ჩვენთან გაგრძელდება ორი თვე, როგორც სპეციალური ნაწილის. საერთო შეკრების დროს ცვალებადელთა უმიზეზოთ გამოუცხადებლობას თითქმის ადგილი არ ჰქონია.

ყველა ცვალებადელები დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით მუშაობდენ კარვების და საერთოდ ბანაკის მოსაწყობად. უკვე მოწყობილია სამკითხველო, ლენკუთხე და კლუბი, სათანადო პლაკატებით, ბელადების სურათებით და ლოზუნგებით. სამწყობრო სპეციალური და პოლიტიკური მეცადინეობა სისტემატიურათ მიმდინარეობს. პოლიტმეცადინეობისათვის გამოყოფილია ჯგუფის ხელმძღვანელებად ზოგიერთები კი თითონ ცვალებადელთა შემადგენლობიდან. მთავარი ყურადღება ექცევა წითელ-არმიელთა კულტურულ და პოლიტიკურ საქმიანობას. რედ-კოლეგია სისტემატიურად ორ კვირაში ერთხელ უშვებს კედლის გაზეთს.საყურადღებოა უკანასკნელი კედლის გაზეთის ნომერი, რომლის მხატვრული და იუმორისტული მხარეები დიდათ იზიდავს წითელ-არმიელებს. მოწყობილია კლუბი, სადაც კვირაში ერთხელ იმართება კინო-სურათი.

დრამატიული წრეც ამზადებს წარმოდგენას, რომელიც დადგმულ იქნება ასეულის ორი წლის თავზე. ასეულის დღესასწაულის ღირსეულათ ჩატარებისათვის გამოყოფილია კომისია საკავშირო და მესანგრე ასეულებიდან, რომლებიც უკვე შეუდგენ სამზადისს.

სამხკორთა წრეც ემზადება ამ დღისათვის; აპირებს გაზეთის გამოშვებას და კულტ-პოლიტიკურ საქმეში მონაწილეობის მისაღებად. საღამოს მეცადინეობის შემდეგ მთელი წითელ-არმიელთა შემადგენლობა ხალისიანათ და სხვა და სხვა ნაციონალური სიმღერებით მიეშურებიან ლენკუთხისაკენ, სადაც იმართება კამათი, სხვა და სხვა სათამაშოებით გართობა, გაზეთების კითხვა და სხვა. ასე ხალისიანად და ნაყოფიერად მიმდინარეობს ჩვენი მუშაობა.

ვალიკო გორათელი.

# ბრძოლვადიან შვებულებაში.

მოთხრობა

(დასასრული) *)

IV.

უკვე დაბინდდა, შვებულნი რომ ...დენ სოფელში...

— შვილო, ნიკა!

...რა გამოეგება დედა, რომელ... ქათმები დაებინავებია, უკვე ...ს ადუღებდა, და შეჰკივლა ...არებულმა, გადაეხვია, გადმოე...ა, გადაჰკოცნა...

— მოხვედი, გენაცვალე?

...ესალმა მამა, რომელიც ის-ის ...ო დაბრუნდა სამუშაოდან და ...უხს იკეთებდა...

შემოეხვიენ და-ძმანი, მეზობლე... მოკეთეები, ესალმებიან, ულო...ვენ ვალის პირნათლად გადა...ას, ეკითხებიან წითელი ჯარის ...ოვრებაზე; ნიკა თუმცა დაღლი...ა, მაგრამ მაინც ხალისიანად ...სუხებს თანამესოფლეთა შეკი...ვებზე და თვითონაც ეკითხება ...ფლის ჭირ-ვარამზე, ნაკლულე...ებაზე და მიღწევებზე...

დედა დატრიალდა, ვახშამის ...ებას შეუდგა, პატარა ძმამ ...ად ვარიკა დაკლა და, მამამ ...ლ ქვევრს მოხადა...

— აი გენაცვალოს მამაი, შვი...ო, მე შეთქმული მქონდა, რომ ...რე შენ არ დაბრუნდებოდი ...სახურიდან, არ მოვხდიდი; ორი ...ის ღვინოა, გენაცვალე, ნამ...ილი ზედაშეა; შე რო წახვედი ...სახურში, სწორედ მაშინდელია, ამის დაწურვაში შენც მიგიძღვის წილი, აბა ნახე...

ეუბნება მამა და გაუწოდა ჯამი...

ყველა აქ არიან, სოფლის გოგოები ხომ თვალს არ აშორებენ ნიკას, მაგრამ ის რატომაა შუბლშეჭმუხვნილი? რად გადაეკრა მის მუდამ მღიმარე სახეს ნისლი? მისი თვალები ვის ეძებენ ასე გაფაციცებით? შემოხვეული მეზობლები და მოკეთეები შეკითხვებს რომ აძლევენ, რად არ უპასუხებს ეხლა?..

— მოასვენეთ ე ბიჭი, ქაა, რას აუტყდით? ზოგს ხვალ გეტყვით...

უთხრა დედამ ყველას, რა ისინი შეკითხვას-შეკითხვაზე აძლევენ და ნიკა არაფერს უპასუხებდა...

ნელნელა დაიშალენ მეზობლები, ზოგი კი ვახშამზე მიიპატიჟეს...

— ყველა აქაა, ყველა და ის კი...

გაიფიქრა ნიკამ ნატაზე და თავი ჩაღუნა, ფიქრებს მიეცა...

— თუ კი ყველამ გაიგო ჩემი მოსვლა, მოვიდენ, ის რატომ არა სჩანს? ნუ თუ ვერ გაიგო? მაგრამ იქნება მიღალატა? იქნება გამცვალა სხვაზე?.. მაშინ რაღად მომცა პირობა, რომ მომიცდიდა ვიდრე დავბრუნდებოდი ჯარიდან...

ერთი მეორეზე შემოესია ნიკას ეს ფიქრები, და გაახსენდა შარშანწინდელი ის წუთი, როდესაც ჯარში წასვლის წინადამეს გალავანში შეხვდა ნატას და მათ გამოთხოვებისას ერთგულების და სიყვარულის ფიცი მისცეს ერთმანეთს...

— რაა, შვილო, რამ დაგაფიქრა? ჭამე რამე, გენაცვალოს დედაი...

— ჰა?.. ჰმ...

თითქოს ბურანიდან ეხლა გამოირკვაო, შუბლზე ხელი გადისვა, პური გატეხა, წაილო პირთან, მაგრამ ისევ დადვა...

— დედა, არ მინდა, რაღაცა დაღლილი ვარ...

— დაწექი, შვილო, მოისვენე...

— არა, ცოტაოდენს გავივლი, და...

ამ სიტყვებთან ერთად გარედ გავიდა; ოთახში თითქოს ჰაერი არა ჰყოფნიდა ისე ამოისუნთქა რა გარედ გამოვიდა და ნელი ნაბიჯით გასწია წყაროსაკენ, სადაც მინდვრად დაგვიანებული და ეხლა დაბრუნებული მეზობელი მათია ხარებს წყალს ალევინებდა ნობზე...

V.

— ეხლა კი დროა ჩვენი ნიკას დაოჯახებისაც.

უთხრა პავლემ ცოლს, შვილის გასაგონად, რომელიც უკვე ლოგინში იწვა და არ ეძინებოდა კი...

— ჰო, რაღას დავაყოვნებ, ენაცვალოს დედაი, ხვალვე დავტრიალდები.

მიუგო მაგდანამ და ჯამებს დაუწყო რეცხვა და თაროზე დალაგება.

ბუხარზე ჭრიჭინა არ ისვენებდა, და თავისი ერთხმოვან გაბმულ ბაიათით თავს ირთობდა...

— ნინიკაანთ ქეთოზე რას იტყვი, დედაკაცო? ჰა?

— რას ამბობ, კაცო, მეხი იმასაც დავაყარე, მე არჩეული მყავს კიდეცა და, იმ დღეს დღეობაში ვნახე, გალმამხრელი გოგო, მოწყვეტილ ვარსკვლავსა ჰგავდა, მაშ, ჰო და, დედის ერთაცა ყოფილა, მზითევიც კარგი აქვსო...

ჩურჩულებდენ ცოლ-ქმარი ერთმანეთში, ნიკა კი გატვრენილი იყო, ყურს უგდებდა და გულში ეცინებოდა...

— მაშ კარგი, არა სცოდნიათ ჩემი მომავალი საცოლეს ამბავი...

გაიფიქრა ნიკამ და გულში ჩაიცინა, მაგრამ დის გადალაპარაკება რომ გაიგონა დედისადმი, მაშინ კი ყურები სცქვიტა...

— ეხლა ნიკასაც ჰკითხეთ, და? მაგასა და ახალაანთ ნატას დიდიხანია უყვართ...

ეუბნებოდა თამრიკო დედას; და მართლაც, რომ არავინ იცოდეს, ამ გოგოებს ხომ არ გამოეპარებათ ასეთი საიდუმლოება სოფლისა...

— რას ამბობ, გოგო, მერე და რატომ აქამდის არ მითხარი?

— რა ვიცი, მთელმა სოფელმა იცის და მე მეგონა შენც გეცოდინებოდა, დედა...

— როგორ, ყველამ იცის?

გაიფიქრა ნიკამ, და თვითვე მიიგო პასუხი:

— ჰმ... განა სოფელში რამე დაიმალება?

— კიდეც იმიტომაა, რომ ისე მიყურებს ხოლმე ის გასაწყვეტი, არ იცის ხოლმე როგორ მასიამოვნოს; არა, იმ დღეს ორღობეში რომ ამოვიარე აკი ვენახშიაც შემიპატიჟა ატამზე?..

— რამდენი მთხოვნელები ჰყავდა და ყველას უარს ეუბნებოდა...

ეს სიტყვებიღა გაიგო უკანასკნელად ნიკამ, დედის და დის საუბარში, გახარებულს, რომ ნატა ამას უცდის, ტკბილად ჩაეძინა...

VI.

— აი, შე ეშმაკო, რატომ ერთხელაცაა არ მითხარი შვილო, ჰა?

ეუბნებოდა მაგდანა შვილს, მეორე დილას, ნატაზე; ნიკამ თავი ჩაღუნა ღიმილით...

მაგდანას, მიუხედავად იმისა, რომ ნატა თითონაც მოსწონდა, მაინც რატომღაც რძლად არ უნდოდა, როგორც დედა სულ უკეთესს და უკეთესს ეძებდა შვილისთვის, მაგრამ რა ეს ამბავი გაიგო, რაღა ეთქმოდა, საყვარელ შვილის სურვილს როგორ აღუდგებოდა წინ...

—...ჰო და, ძმაო ტატო, როგორც გითხარი, ასეთია ჩვენი წითელი ყაზარმა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, წითელი სკოლა; ეხლა შენ გიწევს ჯერი, შეკრება გამოცხადებულია; შენ და შენნაირებმა უნდა შევცვალოთ წამოსულები, შენ უნდა ჩაიბარო ის შაშხანა, რომელიც სხვა თოფებთან ერთად ჯოჯგინად დგას ეხლა, ახალწვეულების მოლოდინში, თქვენ უნდა დაიცვათ ის საყვარელი წითელი დროშა, რომელსაც ამშვენებს შრომის მეუფების სიმბოლო, ჩაქუჩ-ნამგალი, ხუთ ქიმიან ვარსკვლავით...

ეუბნებოდა ნიკა, უნცროს ძმას, რთველში...

— არ შეგარცხვენ, ძმაო!..

მიუგო ტატემ, ღიმილით, და ყურძნით სავსე გოდორი წამოიკიდა და საწნახელისკენ გასწია...

— ნიკა!

— რა ღობეს გადმოადგა ნატა, დაუძახა, გაუცინა...

— ნატა! სად იყავი?

გაქანდა მისკენ...

— დედას ვახლდი ახალქალაქს, მან ვენახში გადაუხვია და მე კი...

— ჩემთან გამოიქეცი, არა?

ნიკა უყურებდა ნატას ხარბად, სიამით, მის წინ იდგა ქალი, ჭრელ ქალაღაია მხრებს გადიგდებული, მოქნეული, ბუნების ლალი კალთებით აკისკისებული; წაბლისფერი თმის ორი ნაწნავი დაეგრიხა კისერზე ორი აპეურივით, გველებივით გადაწოლილ წარბებ ქვეშ მოსჩანდა ორი ამაყვლებული ცეცხლის ტბა, თვალები, წამწამთა ლელიანებში; აალისფერებულ ლოყებს შვენოდა მარწყვის ტუჩები, და თეთრი გედივით მონაღერი ყელი იწვევდა ნიკას, უსურვაზივით ასახვევად...

— წუხელის როგორ მოხვედი სახლამდის, ნიკა, ჩვენგან რომ წახვედი?

— კარგად, მხოლოდ მარტოობას ვგრძნობდი უშენოდ...

რთვლობის მესამე კვირას ნიკა და ნატა დაქორწინდენ.

ნიკა ჩაება სასოფლო საქმეებში, დატრიალდა, სოფელს წინსვლა დაეტყო; წინად, ჯარში წასვლამდე თუ ბევრი ყურსაც არ ათხოვდა ნიკას, ეხლა მის დაუკითხავად არაფერი კეთდება, ყველა მასა სთხოვს რჩევას...

შენდება ახალი სოფელი ჯიშმაგარ მოდგმით...

ს. ერ—ლი.

*) გაგრძელება იხ. ჩვენი გაზე...ს № 135.

# წითელ არმიელი

აღმოსავლეთის რიჟრაჟების ვარ მოდარაჯე,
რევოლიუციის მონაპოვარს ვუვლი და ვიცავ;
ჩვენია ყველა: მაღლა ცა და ძირს დედამიწა,
ბებერ ევროპას გადავაცვამთ ცეცხლის ფარაჯას!

— —

ფოლადის ნება, ენერგია უხვი ტბორებით,
ღელავს ძარღვებში და იმღერის მშრომელთა ჯარი;
დაკოჟრილ ხელით წითელ დროშებს ვეამბორები,
ორგულებს კრულვა, შეჩვენება, რისხვა საზარი!

— —

მე მესმის კარგად ჩემი დიდი დანიშნულება,
მესმის თუ რისთვის გადაჰკვრია ცას ცეცხლი, ელვა;
დიდია ჩვენი სიყვარული, თავისუფლება,
დიდია რწმენა და მაღალი მიზნების ღელვა.

— —

მაგრამ თუ მტერმა აგვიშალა მშრომელთა კერა,
თუ მახვილები აილესენ, ძმებო, ჩვენს მიმართ;
ითქმის მრავალი ანათემა, ბრძოლის სიმღერა.
გვწამს გაიმარჯვებს სიმართლე და დიადი შრომა.

— —

და დღეს მე ვდგევარ ვით ამაყი გლადიატორი,
და მწვერვალიდან ხალხს ვეძახი: მშვიდობა ყველას!..
არ შეჩერდება, მეგობრებო, ქარხნის მოტორი,
მუდამ და ყველგან მოელოდეთ ჩვენგანაც შველას.

— —

აღმოსავლეთის რიჟრაჟების ვარ მოდარაჯე,
რევოლიუციის მონაპოვარს ვუვლი და ვიცავ;
ჩვენია ყველა: მაღლა ცა და ძირს დედამიწა,
ბებერ ევროპას გადავაცვამთ ცეცხლის ფარაჯას!..

არნო ბურდილაძე.

— —

# მოსავლიანობა სხვა და სხვა ქვეყნებში

მსოფლიოში პურის მოსავლის რაოდენობაზე ძლიერ არის დამოკიდებული საბჭოთა პურის გასაღება. რაც უფრო ნაკლები პური მოვა სხვა ქვეყნებში, მით უფრო გაიზრდება საბჭოთა კავშირის პურის ღირებულება და მით უფრო მეტს გავასაღებთ მას სხვაგან- რაც საშვალებას მისცემს სახელმწიფოს შეიძინოს სამაგიეროთ ახალი სამეურნეო იარაღები.

ამ ჟ ამად უკვე გამორკვეულია ევროპის და სხვა სახელმწიფოებში პურის მოსვლის რაოდენობა. ხანგრძლივმა წვიმებმა ძლიერ შეამცირა ის, რომელიც გაცილებით მცირეა შარშანდელთან შედარებით.

საფრანგეთში მოწეული იქნა 7.836.000 ტონა (1 ტონაში —61 ფუთია) გასულ წელს კი —9.836.000 ტონა. გერმანიაში 2,939 000 ტონა, გასულ წელში — 3.220.000 ტ. იტალიაში წლევანდელი მოსავალი 1 მილიონ 100.000 ტონითაა ნაკლები შარშანდელზე. რუმინიაში 800.000 ტონით ნაკლები მოიწიეს ვინემ შარშან.

ცოტა უფრო კარგი მდგომარეობა ამ მხრივ ამერიკაში. კანადაში მართალია 1.502.000 ტონი ხორბალი მოიწიეს და შარშან 1.586.000, მაგრამ წრევანდელ ხორბლის ხარისხი უფრო კარგია წინანდელზე.

ჩრდ. ამერიკის შეერთებ. შტატებში მეტი მოიწიეს წელს ვინემ შარშან.

ამნაირათ საბჭოთა კავშირის კარგი მოსავალი დიდ შესაძლებლობას იძლევა იმისთვის, რომ ჩვენი პური კარგ ფასში გასაღდეს უცხოეთში და მით შევიძინოთ გაუმჯობესებული სასოფლო სამეურნეო იარაღები.

# კომპარტიის მთლიანობისათვის.

მე 2 არტილერიის ლეგიონის პარტკრების მიერ გამოტანილი რეზოლიუცია.

ლეგიონის პარტწევრების, კანდიდატებსა და ახკომკავშირელების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა მოხსენება, პარტიაში ოპოზიციონური ჯგუფის გამოსვლის შესახებ ამხ. ზინოვიევის, ლაშევიჩისა და სხვების მეთაურობით, და გავეცანით რა ცენტ. კომიტეტის დაც. ს. კ. პლენიუმის შედეგებს ამის გარშემო, სავსებით ვეთანხმებით ლენინურ ცეკის ხაზს პარტიის რიგების აბსოლიუტური მთლიანობის დაცვის საქმეში. მთლიანად უერთდებით პოლიტ-ბიუროს წევრის ამხ. ზინოვიევის და ცეკის კანდიტატის ამხ. ლაშევიჩის და სხვების შესახებ გამოტანილ დადგენილებას მათი ფრაქციონული მოქმედებისათვის.

ჩვენ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ბოლშევიკური პარტიის რიგებში ჯგუფების დაშვება და პარტიის უმაღლეს ორგანოს პარტყრილობის დადგენილებების დარღვევა. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი პარტიის მთლიანობა თავდებია სოც. რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისა.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიის შემჭიდროებულ მთლიან რიგებს და მის მუშაობას ლენინურ ცეკას ხელმძღვანელობით.

კრების პრეზიდიუმი { ლეჟავა, იმედაძე, პაპოვი

# ცვალებადელებმა გამოუშვეს კედლის გაზეთი.

მე 2 საარტ. ლეგიონი.

ტერშეკრების პირველ დღიდანვე მე-2 საარტ. ლეგიონის (ორივე დივიზიონის) ცვალებადელების სამხკორების მიერ ამორჩეულ იქნა დივიზიონებიდან რედკოლეგიები.

ამორჩევის შემდეგ, რედკოლეგიები სწრაფად შეუდგნენ კედლის გაზეთებისათვის მასალების დაგროვებას. ორივე დივიზიონებში კედლის გაზეთი უნდა გამოსულიყო ერთ დანიშნულ დღეს. ლეგიონის მთელი შემადგენლობა დიდათ დაინტერესებული იყო კედლის გაზეთის გამოშვებით და დიდის აღფრთოვანებით მოელოდნენ.

11 სექტემბერს, ლეგიონის მე-2 დივიზიონმა ამ შეკრებაზე პირველად გამოუშვა კედლის გაზეთი „ცვალებადელი“. გაზეთი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს გარეგნულად.

მეორე დღეს პირველმა დივიზიონმაც გამოუშვა კედლის გაზეთი.

საერთოდ, მთელი ლეგიონის შემადგენლობა მოხარული იყვნენ კედლის გაზეთის გამოშვებით.

სასურველია და იმედიც გვაქვს, რომ ლეგიონის ორივე დივიზიონების რედკოლეგია მეორედ უფრო კარგად შეასრულებს დავალებას და ნათლად გააშუქებს მეორე საარტ. ლეგიონის შინაურ ყოფაცხოვრებას.

ცვალებადელი.

# პასუხი შეკითხვებზე

— მაგლიშვილს. მიწა გეკუთვნით. თუ სოფლის კომისიამ არ მოგაქციათ ყურადღება, მიმართედ სამაზრო მიწის კომისიას.

— ძამიაშვილს. მაზრამ უნდა დაგაკმაყოფილოს ხვედრი ჯამაგირის რაოდენობით.

— წილოსანს. თქვენი შეკითხვა ბუნდოვანია. მოგვწერეთ დაწვრილებით.

— ბიწკინაშვილს. მიმართედ თქვენი შტაბას უფროსს.

— კილაძეს მიმართედ სამხკომს.

— აფხაიძეს. ჯარში ყოფნის გამო მიწა არ ჩამოგერთმევად. თუ ასეთს ადგილი ქონდა შეგიძლიათ გაასაჩივროთ მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებაში.

— ტობანიერელს. თქვენ როგორც წ. ა. გადასახადებში სარგებლობთ შეღავათებით.

— ბალანჩივაძეს. წაიკითხეთ რევსამხსაბჭოს ბრძანება № 30 26 წ.

— მასვე. თუ თქვენი ურთიერთი დამხმარე სალარო მატერიალურად ძლიერია, მაშინ, რასაკვირველია, ასეთ უბედურების დროს დახმარება უნდა გაგიწიოთ.

— მინაშვილს. დაგვიანებულია. ყოველ შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოდ სახ. სასამართლოს.

— თოიძეს. თქვენ სარგებლობთ პირველი ხარისხის შეღავათებით. წარადგინეთ მოწმობები თქვენი ნაწილის საშუალებით მთავარ მიმღებ კომისიაში, რომელიც არსებობს ტერსამართველოსთან.

— სოხუმელს. სამოქალაქო ტანსაცმელის ტარების უფლება კურსანტს არ აქვს.

— ტურაშვილს. პირველ რიგში ერთი ნაწილი წავა და მეორე რეში—მეორე.

— ნიბლაძეს. წასვლის შესახებ მიმართედ შტაბის უფროსს.

— თუმანოვს. თქვენი ნაწილის გაყიდვის უფლება თქვენს ძმას არ ქონდა. შეგიძლიათ სასამართლოს წესით მოითხოვოთ თქვენი წილი ან მისი საფასური.

— ცინცაძეს. ორი წლის ხმარების შემდეგ გეკუთვნით ახალი მაზარა.

— ჭელიძეს. პირველ ოქტომბრიდან მიწათ მოქმედების კომისარიატი ხსნის სატრაქტორო კურსებს. ყოველივე ცნობისათვის მიმართედ მას.

— შონიას. გამსახლში გატარებული დრო არ ჩაგეთვლება სამხ. სამსახურში.

— კრაზანას. საკუთარი მაზარას მაგივრად მოგეცემათ სხ... ხმარებისთვისი ვარგისი.

— კიკნაძეს. მიმართედ სკოლის უფროსს.

— კავკასიელს. ცნობის მისაღებათ მიმართედ მესაზღვრე ... თაურთა სკოლის უფროსს.

— ელიაზარაშვილს. რუსეთის რომელ ქალაქში გინდათ წასვლა მოგვწერეთ და შემდეგ გიპასუხებთ გაგიშვებენ თუ არა.

— კუპატაძეს. თქვენს ძმას ეკუთვნის გზის გაკეთება თავის წილად, მხოლოდ გადასახადისაგან თქვენი ოჯახი თავისუფალია ... მი მეოთხედისაგან.

— ა. ნ. მოკლე ვადიან შვებულებაში გაშვება დამოკიდებულია თქვენს უფროსზე. მიმართედ მას.

— გურულს. მიმავალ წ. ა. ნივთებით დაკმაყოფილების შესახებ ცნობებს ნახავთ ჩვენი გაზეთის № 134-ში.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-3 ლეგიონის ბ-კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვის შესახებ.

1. ოც. მეთ. კოტრიკაძე ალექსანდრე იოსების ძეს, 2. მაჭარაშვილი გრიგოლი იაკობის ძეს და 3. ჭყონია ივანე გიორგის ძეს.

კომკავშირიდან პარტ. კანდიდატ. შესახებ.

1. ჯორბენაძე გერმანე ერმილეს ძეს, 2. პერტაია შალვას ძეს, 3. ჭელიძე ნიკიფორე ათანასის ძეს.

ამხანაგების შესახებ თუ ვინმემ იცით რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში მე-3 ლეგ. ბიუროს კოლექტივში.

1-ლ ქ. მ. დ. საარტილერიო ლეგიონის მე-3 სამთო ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტკანდიდატათ და წევრად მიღებაზე შემდეგ ამხანაგებს: 1. ჯაოშვილი იაკობი ალექსანდრეს ძეს (კანდიდატი თხოულობს კ. პ. წევრად მიღება), 2. ისელიძე ალექსანდრე ივანეს ძეს (უპარტიო, გლეხი, რაჭის მაზრა, თხოულობს კ. პ. კანდიდატათ მიღებას), 3. არაქელოვი ... ბენ გიორგის ძეს, (კ. კ. წევრი თხოულობს კ. პ. კანდიდატათ მიღებას).

თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდიგო ამხანაგებზე, გთხოვთ გვაცნობოთ აღნიშნულ უჯრედში სიტყვიერათ ან და წერილობით ერთი კვირის განმავლობაში.

# ახალი სამხედრო ტეხნიკაში.

თუმცა კაპიტალისტური ქვეყნები ძალიან გაჰყვირიან იმის შესახებ, რომ მათ არ სურთ ომი, მაგრამ „მშვიდობიანობის“ დასაცავად მეტად ახირებულ საშვალებებს მიმართავენ.

ისინი შეუჩერებლად იარაღდებიან, წინ უსწრებენ ერთმანეთს არმიისა და ფლოტის, ახალი, გამანადგურებელი იარაღებით შეიარაღებაში. ინგლისი სცდილობს წინ გაუსწროს ამ მხრივ საფრანგეთს, ამერიკა კი—იაპონიას და სხვა.

ჩვენ გვსურს ზავი. მაგრამ რამდენადაც კაპიტალისტური სახელმწიფოები იარაღდებიან კბილებამდე და ამავე დროს ჩვენდამი დიდ მტრობას იჩენენ, ჩვენ ვალდებულნი ვართ ყურადღებით ვადევნოთ თვალი მათ შეიარაღებას, მათ სამზადისს ომისთვის. ჩვენ ვალდებული ვართ შევასწავლოთ მშრომელებს საომარი ხელოვნება, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვენ არა გვსურს.

მაგრამ ეს საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენზე თავდასხმის შემთხვევაში, ჩვენ შევსძლოთ საბჭოთა კავშირის საზღვრების და რევოლიუციით მოპოებულის დაცვა.

ჩვენ შეუსვენებლად უნდა ვამაგროთ და განვამტკიცოთ ჩვენი სამხედრო ტეხნიკა.

## „შნეიდერის“ 15 სანტიმეტ. ზარბაზანი.

არტილერიას მრავალგვარი დანიშნულება აქვს ბრძოლაში. მისგან მოითხოვენ მოწინააღმდეგის ცოცხალ მიზნების განადგურებას, მისი სანგრების დანგრევას და მრავალი სხვა'

თითეული ასეთი მიზანისათვის საჭიროა სხვა და სხვანაირად მომართვა იარაღის. განსაკუთრებით ძლიერ რთულია ცოცხალი მიზნებისაკენ მსროლელი არტილერიის აგებულობა.

ასეთ იარაღს ნიშანში მოხვედრის დიდი სიზუსტე უნდა ჰქონდეს. ასეთ იარაღთა საუკეთესო რიცხვს ეკუთვნის გრძელ ლულიანი „შნეიდერის“ 1917 წ' ნიმუშის ზარბაზანი. 15,5 სანტ. ანუ 6 დიუიმ. ყალიბისა.

## კვამლის ნიღაბი.

ამას წინად საფრანგეთში აწარმოებდენ სამხედრო ქიმიის ახალ გამოგონების გამოცდას. უდიდესი ყუმბარით მზიდავი ჰაეროპლანი, რომელშიდაც არის სამი ინჟენერ-ქიმიკოსის სპეციალური მოსათავსებელი ადგილი. ჰაეროპლანს მიცემული ჰქონდა ამოცანა გადაფრენილიყო ქალაქის თავზე და ბომბების სანიმუშო გადმოყრით აეფეთქებია სამხედრო იარაღის საწყობი. სხვა სამ ჰაეროპლანებს ხელი უნდა შეეშალათ მისთვის ამ ამოცანის შესრულებაში.

როდესაც აფრინდა პირველი ჰაეროპლანი და გაეშურა სამხედრო საწყობების მიმართულებით, მას თან დაედევნენ დანარჩენი სამი ჰაეროპლანებიც. ისინი თითქმის დაეწიენ მას და უნდოდათ იერიშზე გადასულიყვენ. ამ დროს პირველი ჰაეროპლანი შეიმოსა სქელი კვამლით და დაიკარგა მასში. მიუხედავათ ყოველგვარი ხერხისა ჰაეროპლანების ესკადრილიამ ვერ იპოვა ის კვამლში, რადგანაც მათ ძლიერ უშლიდათ ხელს ხელოვნური კვამლის სქელი ტალღები, რომელსაც უშვებდა განსაკუთრებული აპარატი. ამნაირად პირველი ჰაეროპლანი შეუმჩნევლად მიუახლოვდა დანიშნულ ადგილს და ჩაყარა ყველა ყუმბარები.

ამ უკანასკნელი გამოგონების შესახებ ბევრს სწერენ უცხოეთის გაზეთები. ეს აირის განსაკუთრებული სახეა, მეტად მსუბუქი და ამავე დროს აქვს სწრაფი გამოყოფის თვისება და ხვევს ბურანში ახლო-მახლო საგნებს.

## მფრინავი ნავი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ამერიკაში დაასრულეს ახალი ტიპის მფრინავი ჯავშნიანი ნავის აგება, რომელიც დამზადებული იქნა სამხედრო სამინისტროს სპეციალური განკარგულებით.

ნავი ძლიერ ჰგავს უფრო მოგრძო ჰაეროპლანს. გაკეთებულია ალიუმინისაგან. ნავზე მოთავსებულია 2 ძრავი 400 ცხენ. ძალით თითეული ზედ იმყოფება 8 კაცი—მოსამსახურე. აღჭურვილია რამოდენიმე ტყვიამფრქვევით, ერთი შორს მსროლელი ზარბაზნით და საჰაერო ნაღმების მარაგით. მისი მოქმედების რაიონი ძლიერ დიდია, რადგანაც მას ისევე შეუძლია წყლის ზედაპირზე ცურვა, როგორც ჩვეულებრივ გემს და საჭიროების დროს ადვილად ადის ჰაერში და ფრინავს, როგორც ჰაეროპლანი.

გამოცდის დროს ნავმა შესანიშნავი შედეგები მოიტანა, როგორც წყალზე ცურვით, ისე ჰაერში ფრენით. მისი სიჩქარე წყალზე გაცილებით უფრო დიდია ნაღმოსანის სისწრაფეზე, ხოლო ჰაერში თავისუფლად გადის საათში 200 კილომეტრს.

ამ ჟამად მფრინავი ნავი ჩარიცხული იქნა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ფლოტის შემადგენლობაში.

რადგან იაპონიის ფლოტში არ მოიპოვება ასეთი ნავი, იაპონიის გენერალურმა შტაბმა კონკურსი გამოაცხადა ასეთი ნავის აგებისათვის.


**დაკარგე** მე-6 ქართულ მსროლელ ტერ-ლეგიონიდან მოცემული წითელ არმიელის წიგნაკი № 15 ეგნატე კოსტას ძე ქობულიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავკარგე** ახ. ლენ. კომ. კავშირის წევრობის დროებითი მოწმობა № 2852 და „ბოეც“ კ. კ. წევრობის წიგნაკი № 50 შალვა ვლადიმერის ძე ლომთათიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგულია** ცალკე საკავშირო ასეულის ... ერ ტალონი მოთხოვნილება № 9—406 36 ფუთი თივის მიღებაზე ჩაითვალოს გაუქმებულად.


# მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქ. ტფილისისა და მისი რაიონების კომენდანტი აცხადებს, რომ 21—25 სექტემბრამდე, მარილის ტბების რაიონში (ქალაქის აღმოსავლეთის მხარე) სოფ. ოლგინსკისაკენ მიმავალი გზის მარცხნით, ყოველდღიურად იწარმოებს უვარგის სასროლო მასალისა და იარაღის ნაწილების აფეთქება.

# თბილისის გარნიზონში მყოფ ნაწილების საყურადღებოთ!

## გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქცია ამით

აცხადებს, რომ ექსპედიციაში გაზეთების გაცემა თბილისის ნაწილებისათვის სწარმოებს კვირაობით დილის 8 საათიდან 10 საათამდე, დანარჩენ დღეებში კი დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდე, რის შემდეგ გაზეთების გაცემა წყდება.

ამიტომ რედაქცია სთხოვს ნაწილებს თავის დროზე წაიღონ კუთვნილი რაოდენობა გაზეთებისა.

გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქცია.

ნ. დ. ს. ლ. სამხედრო სტამბა კუცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.